

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის კონტექსტში გლობალური კონფრონტაციული გარემოს და ბანუზღვრელობის პირობებში¹

DOI: <https://doi.org/10.52340/bal/2025.02.03>

ანოტაცია

კვლევის ძირითადი მიზანია კონფრონტაციული გლობალიზაციისა და მზარდი გაურკვეველობის პირობებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თავისებურებების გამოვლენა ეკონომიკური ზრდის კონტექსტში. ბოლო ათწლეულის პერიოდში, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კვლევა კლასიკური მოდელებიდან უფრო ყოველმომცველ, ინტერდისციპლინურ მიდგომებზე გადავიდა. თანამედროვე ძირითადი პარადიგმები მოიცავს მრავალეროვნული კორპორაციების სტრატეგიების შესწავლას, გლობალური ღირებულებათა ჯაჭვების როლს, დიგიტალიზაციის ეფექტებს, მდგრადობის ფაქტორებს და გეოპოლიტიკურ გავლენას. ეს ახალი მიდგომები ავსებს და მრავალი თვალსაზრისით გარდაქმნის კლასიკურ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიებს - დანიინგის OLI პარადიგმას, ინტერნალიზაციის და პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორიას. თანამედროვე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების კვლევები ხაზს უსვამს გლობალური ქსელების, ინოვაციების, ინფორმაციისა და პოლიტიკის როლს. კვლევაში შემოთავაზებული მდგრადობაზე, რისკზე, უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და გეოეკონომიკური ფაქტორზე ორიენტირებული ინტეგრირებული კონცეფციები უფრო მეტად შეესაბამება გლობალიზაციის მზარდ გაურკვეველობას, თანამედროვე მის კონფრონტაციულ ბუნებას და არსებითად ხსნის უცხოელი ინვესტორების საინვესტიციო ქცევას.

საკვანძო სიტყვები: კონფრონტაციული გლობალიზაცია, გაურკვეველობა, ეკონომიკური ზრდა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თანამედროვე პარადიგმები.



გივი ბედიანაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი (ასოცირებული),
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
<http://orcid.org/0000-0003-4521-737X>
E-mail: givi.bedianashvili@tsu.ge

¹ კვლევის შედეგები წარდგენილ და მოხსენებული იყო X საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე (7 ნოემბერი, 2025 წელი).

FOREIGN DIRECT INVESTMENT IN THE CONTEXT OF ECONOMIC GROWTH UNDER A GLOBAL CONFRONTATIONAL ENVIRONMENT AND UNCERTAINTY

Givi Bedianashvili

Professor (associate), Doctor of Economic Sciences
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
<http://orcid.org/0000-0003-4521-737X>
E-mail: givi.bedianashvili@tsu.ge

SUMMARY

The main objective of the study is to reveal the peculiarities of foreign direct investment (FDI) in the context of economic growth in the context of confrontational globalization and increasing uncertainty. Over the past decade, foreign direct investment research has moved from classical models to more comprehensive, interdisciplinary approaches. The main modern paradigms include the study of the strategies of multinational corporations, the role of global value chains, the effects of digitalization, sustainability factors and geopolitical influence. These new approaches complement and in many ways transform the classical theories of FDI - Dunning's OLI paradigm, internalization and product life cycle theory. Modern FDI research emphasizes the role of global networks, innovation, information and politics. The integrated concepts proposed in the study, focused on sustainability, risk, security assurance and geo-economic factors, are more consistent with the growing uncertainty of globalization, its contemporary confrontational nature and essentially explain the investment behavior of foreign investors.

Keywords: confrontational globalization, uncertainty, economic growth, modern paradigms of FDI



კირითადი ტექსტი

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (FDI) კლასიკური თეორიები — დანყებული ჰეკშერ-ოლინის მოდელებით, ჰაიმერისა და ვერნონის ნაშრომებით და ჯონ დანინგის უნივერსალური OLI პარადიგმით — საერთაშორისო ინვესტიციებს ხსნიდნენ რესურსების განაწილების ეფექტიანობის, ფირმების კონკურენტული უპირატესობებისა და ტრანზაქციების ინტერნალიზაციის პრიზმით (Charaia, 2017; Charaia et al, 2020; Dunning, 1980; Erkomaishvili, 2024, 2025; Qoqiauri, 2025; Sikharulidze & Charaia, 2018a, 2018b; Silagadze, 2023; Veshapidze et al, 2024; Veshapidze, & Sekhniashvili, 2021), თუმცა, ეს მოდელები ჩამოყალიბდა გლობალიზაციის კონტექსტში მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც მსოფლიო შედარებითი სტაბილურობით ხასიათდებოდა და ხარჯების ოპტიმიზაცია ინტერნაციონალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. თანამედროვე ეპოქა — სავაჭრო ომები (მაგ., აშშ-ჩინეთი), სანქციების რეჟიმები, გლობალური მიწოდების ჯაჭვების რღვევები (COVID-19, ენერგეტიკული კრიზისი, კონფლიქტი უკრაინაში) და მზარდი გეოპოლიტიკური ფრაგმენტაცია (Autio et al, 2018; Bedianashvili, 2025a, 2025b; Canh et al, 2020; Gao, 2024; Gereffi, 2018; Haque et al. 2022; Jarde et al, 2023; International Monetary Fund, 2023; Loonam & O'Regan, 2022; Luo, 2021; Marozva, 2025; McKinsey Global Institute, 2025; Papava, 2022; Papava, 2025; Papava & Bedianashvili, 2024; Papava & Maisaia, 2023; PLG Consulting, 2020; Singh, 2024; United Nations Conference on Trade and Development, 2023; Witkowska, 2023; World Development Report, 2020) - მოითხოვს ახალ განმარტებით ჩარჩოებს. ტრადიციული მოდელები არასაკმარისად ით-

ვალისწინებენ ფირმებისა და სახელმწიფოების ცვალებად პრიორიტეტებს, სადაც მდგრადობა, უსაფრთხოება და გეოპოლიტიკა ცენტრალურ ადგილს იკავებს.

პირველ რიგში უნდა გამოიყოს გლობალიზაციის თანამედროვე თავისებურებები და ახალი მახასიათებლები. დღევანდელი გლობალური ცივილიზაცია ხასიათდება გაურკვევლობისა და დაუცველობის განსაკუთრებით მაღალი ხარისხით, რაც განპირობებულია საზოგადოების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესებით. მათი მასშტაბები სცილდება რომელიმე კონკრეტული სფეროს ფარგლებს და, ხშირ შემთხვევაში, უკვე ახდენს მნიშვნელოვან, ზოგჯერ კრიზისულ, შოკური ეფექტების მსგავს გავლენას სხვა სფეროებზე (Bedianashvili, 2021).

გლობალიზაციის თავისებურებების განხილვისას, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებისა და დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების ფონზე, კონფრონტაციული ხასიათის გლობალიზაციის პროცესები უკვე მკაფიოდ არის გამოკვეთილი (Papava, 2022). განსაკუთრებით აქტუალური გახდა სისტემური და მაკროეკონომიკური დეტერმინანტები - ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის დონე, შოკების შედეგად ეკონომიკური ვარდნის სიღრმე და კრიზისის შემდგომი აღდგენის სპეციფიკა, გარე შოკების სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები (Bedianashvili, 1995; Bedianashvili, 2023; Papava & Bedianashvili, 2024).

ზემოაღნიშნული განხილვის შემდეგ, საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორია სამეცნიერო კვლევების როდენობის დინამიკა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თემაზე, მაგალითად, Scopus-ის მონაცემთა ბაზებში

არსებულ ჟურნალებში. ბიბლიომეტრიული კვლევები აჩვენებს, რომ ასეთი სამეცნიერო სტატიების რაოდენობა მომდევნო წლებში სულ უფრო იზრდება, რაც ნათლად ჩანს შემდეგ გრაფიკებში (ნახ. 1).

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, ეკონომიკური ზრდის და მათთან დაკავშირებული თემატიკის მიმართ სამეცნიერო ინტერესის ზრდა ბოლო წლებში აშკარაა, რაც მიუთითებს სამეცნიერო პრობლემის უდავო აქტუალურობაზე. ერთ-ერთი მიზეზი აქ, სავარაუდოდ, არის თვით უცხოური ინვესტიციების უარყოფითი დინამიკა,


რაც გამოწვეულია თავის მხრის კონფრონტაციული გლობალიზაციის ბუნებით, ასევე ახალი მიმდინარე მსოფლიო წესრიგის ფორმირების შესაბამისი კლასიკური მანამდე არსებულისგან განსხვავებული ეკონომიკური და საინვესტიციო დეტერმინანტების მოქმედებით (ნახ.2).

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული არ არის შემთხვევითი და დროებითი პროცესი, რაზეც მეტყველებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დინამიკის ციკლური და ტრენდული მდგენელები (ნახ. 3).

ამასთან ერთად, მკაფიოდ გამოიკვეთება ანალოგი-

ნახ.1.


Scopus-ის მონაცემთა ბაზის გამოცემებში 1991-2024 წლებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების, ეკონომიკური ზრდისა და დაკავშირებულ თემატიკაზე პუბლიკაციების რაოდენობა



წყარო: აგებულია ავტორის მიერ Scopus-ის მონაცემების ბაზაზე

ნახ. 2.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დინამიკა (მსოფლიო, US\$)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ მსოფლიო ბანკის მონაცემების (World Bank, n.d.) ბაზაზე

ური ტენდენციები განვითარებული ეკონომიკების და ევროპის ეკონომიკის ფარგლებშიც (ნახ.4).

უდავოა, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციები გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და მდგრად მამოძრავებელ ძალად ითვლება, განსაკუთრებით განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკებისთვის. მისი დადებითი გავლენა მრავალი არხით ხორციელდება და ემპირიული კვლევების აბსოლუტური უმრავლესობა (International Monetary Fund, 2023; United Nations Conference on Trade and Development, 2023; World Development Report, 2020), გარკვეულ პირობებში, წმინდა დადებით ეფექტს ადასტურებს.


უახლესი მონაცემების საფუძველზე (იხ., მაგალითად, United Nations Conference on Trade and Development, 2025), 2024–2025 წლებში გლობალური უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ტენდენციები ხასიათდება უწყვეტი კლებით, რაც გამწვავებულია გეოპოლიტიკური რისკებით, სავაჭრო დაძაბულობითა და მაღალი გაურკვევლობით.

კონფრონტაციული გლობალიზაცია და განუზღვრელობის ზრდა, თავისი ბუნებით, მაკროსისტემური ხასიათის გამოწვევებს წარმოშობს. თანამედროვე ეპოქა - სავაჭრო ომები, სანქციების რეჟიმები, მიწოდების გლობალური ჯაჭვების რღვევები და მზარდი გეოპოლი-

ნახ. 3.


მსოფლიოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დინამიკა ტრენდული და ციკლური მდგენელების გამოყოფით

Hodrick-Prescott Filter (lambda=100)



წყარო: აგებულია ავტორის მიერ EViews-ის გამოყენებით მსოფლიო ბანკის მონაცემების (World Bank, n.d.) ბაზაზე

ნახ.4



წყარო: აგებულია ავტორის მიერ United Nations Conference on Trade and Development (2023) მონაცემებზე დაყრდნობით

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თანამედროვე RRSG პარადიგმები



წყარო: ავტორის აზრი და კონცეფცია

ტიკური ფრაგმენტაცია - მოითხოვს უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ახალ კონცეფტუალურ ჩარჩოებს. ტრადიციული მოდელები ვერ ითვალისწინებენ ფირმებისა და სახელმწიფოების ცვალებად პრიორიტეტებს, სადაც მდგრადობა, უსაფრთხოება და გეოპოლიტიკა მნიშვნელოვანი ხდება. ჩვენ კვლევაში შემოთავაზებულია უცხოური ინვესტიციების ოთხი ახალი პარადიგმის იდენტიფიცირება (ნახ. 5), რომლებიც ასახავს „პოსტ-OLI ეპოქას“.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების თანამედროვე აღნიშნული RRSG პარადიგმები - მდგრადობაზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (Resilience-driven advantage - **R**), რისკზე ორიენტირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (Risk-driven advantages - **R**), უსაფრთხოების ძიების პარადიგმა (Security-seeking advantages - **S**), გეოეკონომიკური პარადიგმა (Geo-economic advantages - **G**) - ასახავს უცხოური ინვესტიციების ლოგიკის ცვლილებას „ეფექტიანობის ძიების“ პარადიგმიდან „მდგრადობისა და უსაფრთხოების ძიების“ პარადიგმაზე. ეს ახალი სისტემური ინტეგრირებული კონცეპტუალური მოდელი უფრო მეტად შეესაბამება გლობალიზაციის მზარდ გაურკვეველობას, თანამედროვე გლობალური გარემოს კონფრონტაციულ ბუნებას, არსებითად ხსნის უცხოელი ინვესტორების რეალურ საინვესტიციო ქცევას და გადანყვევტილებებს.

ქვეყნებს ახალი პარადიგმები საშუალებას მისცემს მათ შეიმუშაონ საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ ეკონომიკურ ეფექტიანობას, არამედ მდგრადობას და გეოპოლიტიკურ ფაქტორებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Autio, E., Nambisan, S., Thomas, L. D. W., & Wright, M. (2018). From platform growth to platform scaling: The role of decision rules and network effects over time. *Academy of Management Perspectives*, 32(3), 254–274. <https://doi.org/10.5465/amp.2016.0148>;

2. Bedianashvili, G. (2021). Globalization and Modern Challenges of Economic Uncertainty. Conference materials: *Strategies, Models, and Technologies of Economic Systems Management (SMTESM-2021)*. At: Khmelnytskyi National University, Ukraine. 24-48.;

3. Bedianashvili, G. (2025a). Foreign direct investment and economic growth under global uncertainty. In Daugavpils University, *Social Sciences for Regional Development 2025: Abstracts of the 20th International Academic Conference* (pp. 10-11). https://du.lv/wp-content/uploads/2025/10/TEZ-ES_2025_Socialas-zinatnes-regionalajai_Tezes_gatavs.pdf;

4. Bedianashvili, G. (2025b). Macroeconomic effects of disruptions in global supply chains in a context of confrontational globalization. In E. Mekvabishvili & G. Bedianashvili (Eds.), *Economic science and the economy of Georgia* (pp. 224-233). Universali (In Georgian). https://www.researchgate.net/publication/396975492_mitsodebis_globaluri_jachvebis_rgh-vevebis_makroekonomikuri_epektebi_konprontatsiuli_globalizatsiis_pirobebshi_Macroeconomic_Effects_of_Disruptions_in_Global_Supply_Chains_in_a_Context_of_Confrontation;

5. Bedianashvili G. (2023). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17(2), 174-179. http://science.org.ge/bnas/t17-n2/26_Bedianashvili_Economics.pdf;

6. Bedianashvili, G. (1995). *State, power structure and socio-economic reform of society*. Mecniereba.

7. Canh, N. P., Binh, N. T., Thanh, S. D., & Schinckus, C. (2020). Determinants of foreign direct investment inflows: The role of economic policy uncertainty. *International Economics*, 161, 159-172. <https://doi.org/10.1016/j.inteco.2019.11.012>;

8. Charaia, V. (2017). The role of multinational enterprises' investments in emerging country's economic development, case of Georgia. *International Journal of Economics and Management Engineering*, 11(3), 721–724.;

9. Charaia, V., Chochia, A., & Lashkhi, M. (2020). The Im-

- pact of FDI on Economic Development: The Case of Georgia. *Baltic Journal of European Studies*, 10(2), 96–116. <https://doi.org/10.1515/BJES-2020-0017>;
10. Dunning, J. H. (1980). Toward an eclectic theory of international production: Some empirical tests. *Journal of International Business Studies*, 11(1), 9–31. <https://doi.org/10.1057/palgrave.jibs.8490593>;
11. Erkomaishvili, G. (2024). *Economic development of Georgia Strategies*. Universal (in Georgian);
12. Erkomaishvili, G. (2025). - Strategy for Attracting Foreign Direct Investments in Georgia. *Science and Innovation*, 4, 112-120 (in Georgian);
13. Gao, H. (2024). Economic policy uncertainty and foreign direct investment: Evidence from China. *Structural Change and Economic Dynamics*, 70, 178-191. <https://ideas.repec.org/a/eee/streco/v70y2024icp178-191.html> (IDEAS/RePEc);
14. Gereffi, G. (2018). *Global Value Chains and Development*. Cambridge University Press. <https://doi.org/10.1017/9781108559423>;
15. Haque, M. A., Biqiong, Z., Arshad, M. U., & Yasmin, N. (2022). Role of uncertainty for FDI inflow: Panel econometric analysis of selected high-income nations. *Cogent Economics & Finance*, 10(1). <https://doi.org/10.1080/23322039.2022.2156677>;
16. Jardet, C., Jude, C., & Chinn, M. (2023). Foreign direct investment under uncertainty: Evidence from a large panel of countries. *Review of International Economics*, 31(3), 854-885. <https://doi.org/10.1111/roie.12646> (IDEAS/RePEc);
17. International Monetary Fund. (2023). *Geoeconomic fragmentation and foreign direct investment* (Chapter 4 in *World Economic Outlook, April 2023: A Rocky Recovery*). International Monetary Fund. <https://doi.org/10.5089/9781513568039.004>;
18. Loonam, J., & O'Regan, N. (2022). Global value chains and digital platforms: Implications for strategy. *Strategic Change*, 31(1), 161–177. <https://doi.org/10.1002/jsc.2485>;
19. Luo, Y. (2021). The platform view of global business. *Journal of International Business Studies*, 52(7), 1251–1270. <https://doi.org/10.1057/s41267-021-00451-8>;
20. Marozva, G. (2025). Uncertainty, FDI inflows, and financial market development. *Economies*, 13(6), 147. <https://doi.org/10.3390/economies1306147> (MDPI);
21. McKinsey Global Institute. (2025). *Global flows: Rethinking supply chains in a fragmented world*;
22. Papava V., (2022). On Illegal Globalization, or Can Globalization Ever End? *Eurasia Review*, December 19. <https://www.eurasiareview.com/19122022-on-illegal-globalization-or-can-globalization-ever-end-oped/>;
23. Papava, V. (2025, August 12). *On the formation of a two-and-a-half polar world*. SSRN. <https://doi.org/10.2139/ssrn.5365191>;
24. Papava, V., & Bedianashvili, G. (2024). Social and economic resilience in conditions of confrontational globalization and uncertainty. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 18(3), 174-180. http://science.org.ge/bnas/t18-n3/28_Papava_Economics.pdf;
25. Papava V., & Maisaia V. (2023). On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17(3), 116-120. http://science.org.ge/bnas/t17-n3/19_Papava_Economics.pdf;
26. PLG Consulting. (2020, June 16). *Navigating global trade wars: Restructuring supply chains in an era of uncertainty*. <https://plgconsulting.com/navigating-global-trade-wars-restructuring-supply-chains-in-an-era-of-uncertainty/>;
27. Qoqiauri, L. (2025). Theoretical and Methodological Foundations of Foreign Investments. *Business and Legislation*, 18(1), 14-26. (In Georgian). <https://doi.org/10.52340/bal/2025.01.02>;
28. Sikharulidze, D., & Charaia, V. (2018a). OII paradigm and investment position of Georgia. *Globalization & Business*, 5, 71-78. <https://doi.org/10.35945/gb.2018.05.010>;
29. Sikharulidze, D., & Charaia, V. (2018b). *Foreign Direct Investment: Theory and Georgian Experience*. Universal (in Georgian);
30. Silagadze, L. (2023). Foreign direct investment inflow in 1997-2016 years in Georgia, Ukraine and Moldova (comparable analysis). *Globalization and Business*, 3(5), 175–192. <https://eugb.ge/index.php/111/article/view/257/259>;
31. Singh, T. (2024, September 24). *A review of economic growth, foreign direct investment, and sustainability in emerging economies*. SSRN. <https://ssrn.com/abstract=5046139>;
32. United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD). (2023). *World investment report 2023: Investment in sustainable energy for all*. United Nations. <https://unctad.org/webflyer/world-investment-report-2023>;
33. United Nations Conference on Trade and Development. (2025). *World Investment Report 2025: International investment in the digital economy (UNCTAD/WIR/2025)*. <https://unctad.org/publication/world-investment-report-2025>;
34. Veshapidze, S., Bendianishvili, N., & Zoidze, G. (2024). Bilateral Investment Agreements of Georgia: Threats, Challenges and Opportunities. *Three Seas Economic Journal*, 5(4), 1-7;
35. Veshapidze, S., & Sekhniashvili, D. (2021). The importance of capital market development for improving the investment ecosystem in Georgia. *World economy and international economic relations*, 4, 64-72;
36. Witkowska, J. (2023). *The role of FDI in the sustainable development of the European Union*. *Comparative Economic Research. Central and Eastern Europe*, 26(1), 21-43. <https://doi.org/10.18778/1508-2008.26.02>;
37. World Bank. (n.d.). Foreign direct investment, net inflows (BoP, current US\$) (Indicator No. BX.KLT.DINV.CD.WD). <https://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD>;
38. World Development Report. (2020). *Trading for Development in the Age of Global Value Chains*. <https://openknowledge.worldbank.org/server/api/core/bitstreams/9421df1e-d16d-5298-8749-3f0efaac2bcc/content>;